ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF KUTAISI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **45-45213436**
თარიღი: **09/12/2021**
პინი: **1936**

ადრესატი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პრეზიდენტს,

ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, წარმოგიდგენთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით განსაზღვრულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ანგარიშს.

ანგარიში წერილს თან ერთვის.

/დანართი 2 ფურცელი/

პატივისცემით,

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტელ: (0431) 24 10 00, ფაქსი (0431) 24 10 10, ელ ფოსტა:sakrebulo@kutaisi.gov.ge, www.kutaisi.gov.ge
მის: საქართველო, ქუთაისი, 4600, რუსთაველის გამზ, N3

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF KUTAISI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **45-45213433**
თარიღი: **09/12/2021**
პინი: **0789**

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
საიდენტიფიკაციო ნომერი: 382

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით

განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის მანძილზე (2021 წლის 21 იანვარი-2021 წლის 9 დეკემბერი) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შემოსულია 48 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს 310 მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. პასუხი გაეცა 48 წერილობით მომართვასა და განცხადებას, ანუ, 310 მოთხოვნას.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს.

2021 წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, კანონმდებლობის სრული დაცვით მიმდინარეობდა მუშაობა საჯარო მონაცემთა ბაზის განახლების, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვასთან დაკავშირებული საკითხები სასამართლოში გასაჩივრებული არ

ტელ: (0431) 24 10 00, ფაქსი (0431) 24 10 10, ელ ფოსტა:sakrebulo@kutaisi.gov.ge, www.kutaisi.gov.ge
მის: საქართველო, ქუთაისი, 4600, რუსთაველის გამზ, N3

ყოფილა, გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გასაჩივრების თაობაზე ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდის შესახებ ვალდებულება დაკისრებული არ არის, შესაბამისად, ამ მიმართულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯები არ გაწეულა.

პატივისცემით,

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტელ: (0431) 24 10 00, ფაქსი (0431) 24 10 10, ელ ფოსტა:sakrebulo@kutaisi.gov.ge, www.kutaisi.gov.ge
მის: საქართველო, ქუთაისი, 4600, რუსთაველის გამზ, N3